

# ქართული ჟარნი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ - ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

## ერთად ღავიცვავთ საქართველო!



**აქტიური რეზერვის სავილოთა პროგრამა**

გვ.3

### ნაგოს საეიზის შედეგები



### ქართული ჟარნი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდება



### თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ორი წლისაა



### ეროვნული თავდაცვის აკადემიის სერტიფიკატის თანაგებრობა



### პროპაგანდისტული ნარაზივი ნეიგრალიზაცია და რეალობა





# ნატოს სამიჯის შედეგები



სის აღიარება ალიანსის სახელმწიფო მეთაურების დონეზე. საქართველო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა მცირე რიცხვს, რომელთა თავდაცვის დანახარჯებიც შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის [მინიმუმ] 2%-ს; ხოლო თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმატებით გატარებული რეფორმების შედეგად, დღეს საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 20% მიმართულია თავდაცვის შესყიდვებზე.

აღსანიშნავია დასკვნით დოკუმენტში საქართველოს მიმართ ალიანსის მიერ გამოხატული პოლიტიკური მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში. კერძოდ, დადასტურებულია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა და რომ ასპირანტ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს ალიანსში გასაწევრიანებლად.

2018 წლის ნატო-ს ბრიუსელის სამიტზე, ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, პირველი სხდომა გაიმართა, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები -თავდაცვის რეფორმები და ალიანსთან თანამშრომლობა, უმაღლეს პოლიტიკურ-სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურების დონეზე განიხილეს.

ამავე სამიტის ფარგლებში, ასევე პირველად მიიღეს ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურების დონეზე, რაც წინა წლებში, მინისტრების დონეზე მხოლოდ ერთობლივი განცხადებებით შემოიფარგლებოდა.

დეკლარაციაში საქართველო ნახსენებია, როგორც ალიანსის ერთ-ერთი უახლოესი ოპერატიული პარტნიორი და გაძლიერებული შესაძლებლობის პარტნიორი. ალიანსი ხაზს უსვამს საქართველოს ურყევ მხარდაჭერას საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და ნატო-ს ოპერაციებსა და მისიებში მნიშვნელოვან კონტრიბუციას აფასებს. საქართველო ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. ალიანსი მიუთითებს, რომ ნატო-სა და ევროკავშირის ოპერაციებში მონაწილეობა მიაჩნდება საქართველოს შესაძლებლობაზე. წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, სამიტზე ხაზი გაესვა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებას, რაც საქართველოს თავდაცვის რეფორმების წარმატებით გატარებასა და თავსებადობის ამაღლებას მნიშვნელოვნად უჭერს მხარს. გამოიკვეთა თანამშრომლობის სფეროები, რომელთა განვითარების მიმართულებით ისეთი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იგეგმება, როგორცაა ნატო-სთან უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფა და კონტრ-მობილურობა. ალიანსი მიესალმება საქართველოს მიერ წარმატებით განხორციელებულ

რეფორმებსა და ძალისხმევას, გამოთქვამს მზადყოფნას, კიდევ უფრო გააძლიეროს საქართველოსთან თანამშრომლობა, მათ შორის, სწავლებების ფარგლებში, სადაც ალიანსი ფართოდ იქნება წარმოდგენილი.

ნატო მიესალმება ერთობლივ დიალოგს ჰიბრიდულ საფრთხეებსა და მდგრადობის გაძლიერებაზე და დამატებით განიხილავს კიბერ-უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერებას.

აღსანიშნავია ალიანსის მზაობა, კიდევ უფრო გააძლიეროს საქართველოსთან დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიმართულებით, ალიანსი

მხარს დაუჭერს საქართველოს შესაბამისი პერსონალის მომზადებასა და თანამშრომლობის გააქტიურებას საპორტო ვიზიტებისა და ნატო-ს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობის გააქტიურებით. საგულისხმოა ალიანსის განზრახვა, დაეხმაროს საქართველოს საჰაერო და საზღვაო სურათის გაფართოებაში, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს ცნობიერებას უსაფრთხოების გარემოს კუთხით.

**საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი თავდაცვის სამინისტროსთვის, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი თავდაცვის სფეროში გატარებული რეფორმების, მდგრადობის განმტკიცებისთვის გაწეული ძალისხმევისა და ამ კუთხით მიღწეული პროგრესი**

ნატო-ს ბრიუსელის სამიტზე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდასაჭერად. ალიანსი მოუწოდებს რუსეთს უარყოს/უკან წაიღოს (reverse) საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება და ერთხმად გამოხატოს აღნიშნულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს, რეგიონის მილიტარიზაციასა და მავთულ-ხლართების და სხვა ხელოვნური ბარიერების აგებას. ალიანსი ასევე მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს მისი შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და ხელი შეუწყოს საერთაშორისო უსაფრთხოების მე-

## ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია ბრიუსელის სამიტზე

NATOsummit2018

“მოკავშირეები მიესალმებიან საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეულ არსებით პროგრესს დემოკრატიის განმტკიცებისა და მზარდი ეკონომიკური განვითარების, თავდაცვის ინსტიტუტების ეფექტურობის ზრდის და შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის სფეროში.”

“მოკავშირეები აპირებენ დაეხმარონ საქართველოს საჰაერო და საზღვაო ვითარების ფლოტის გაძლიერებაში. ჩვენ ასევე მივსალმებით საქართველოს სამომავლო მონაწილეობას გზის მცველის ოპერაციაში.”

“ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები მიესალმებიან საქართველოს მიერ თავდაცვის ხარჯების და სრულფასოვანი რეფორმების გატარების მხრივ მიღწეულ პროგრესს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვისა და მდგრადობის გაძლიერებას.”





# ერთად ღაპიშვპათ სპარტვლო!

სპარტვლოთ თაფლახვოს სპინოსტრო აქტიური რეზერვის სპილოგე პროგრამას იწყებ. პირველ ეტაპზე გერიგორიულ რეზერვი მონაწილეობის ვიღებ სპი რევიონის - აჭარის, გურიისა და კახეთის მოსახლეობას ვეუქლია. ადგილზე სპილოგე პროგრამიდან გაყოფილნიკე ვეზულულია. პირველ ეტაპზე გელოლ ვინ რეზერვისში ვიღებ.



## აქტიური რეზერვის სპილოტა პროგრამა

პირველი აგვისტოდან, აქტიურ რეზერვში მოქალაქეთა განცხადების მიღება იწყება. 18-დან 50- წლამდე ასაკის სპარტვლოთ მოქალაქეებს, რომლებიც აჭარაში, გურიასა და კახეთში ცხოვრობენ, შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ქვეყნის დასაცავად მზადყოფნა გამოაცხადონ. ისტორიულ წამოწყებაში მონაწილეობა მიიღონ და განახლებული რეზერვის ნაწილი გახდნენ. იმისთვის, რომ რეზერვის საპილოტე პროგრამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ ყველა საჭირო ინფორმაცია მიიღოს, ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი, შალვა ჯაბახიძე, თელავში, ბათუმსა და ურეკში ადგილობრივებს ხედებიან და მათთვის საინტერესო კითხვებს პასუხობენ, დეტალურად უხსნიან მიღების პირობებსა და პროცედურებს, რა შედეგები, როგორი ანაზღაურება ექნებათ.

პირველ საპილოტე ეტაპზე მიღება ტერიტორიულ და სპეციალისტთა რეზერვში ხორციელდება. განვსაზღვროთ ტერმინები.

### რა არის აქტიური რეზერვი?

აქტიური რეზერვი, სამობილიზაციო რეზერვისგან განსხვავებით, არის ნებაყოფლობითი, ანაზღაურებადი და იყოფა სამ ძირითად მიმართულებად:

1. შეიარაღებული ძალების რეზერვი
2. ტერიტორიული რეზერვი
3. სპეციალისტთა რეზერვი

### რას მოიცავს აქტიური რეზერვის მიმართულება - ტერიტორიული რეზერვი?

ტერიტორიული რეზერვი შედის შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში. ტერიტორიული რეზერვისტი გადის ზუსტად იმ სახის მომზადებას, რასაც საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე, შედარებით შემჭიდროვებულ ვადებში და მაღალი ინტენსივობით. ტერიტორიულ რეზერვში მოქალაქეთა შერჩევისას, უპირატესობა მიენიჭებათ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, მოქალაქეებს, რომლებმაც გაიარეს სამხედრო სავალდებულო სამსახური და სტუდენტებს. ამ ტიპის რეზერვის ფორმირება და გამოყენება მოხდება მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე.

### რას მოიცავს აქტიური რეზერვის მიმართულება-სპეციალისტთა რეზერვი?

სპეციალისტთა რეზერვი წარმოადგენს აქტიური რეზერვის ერთ-ერთ სახეს და ყალიბდება სამხედრო ძალების სპეციფიკური და ევიციტური მოთხოვნებისა და ამოცანების გადასაჭრელად. რეზერვის შესახებ ახალი კონცეფცია შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს, საკუთარი უნარებით ემსახუროს სამშობლოს, მათ შორის არასამხედრო სპეციალობითაც. მაგალითად, კავშირგაბმულობის ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი შეიძლება ჩაირიცხოს სპეციალისტთა რეზერვში,

მიიღოს ახალი ცოდნა, გამოცდილება და ანაზღაურება.

### საინფორმაციო შეხვედრები

საინფორმაციო შეხვედრები კახეთში უკვე ჩატარდა. მოსახლეობას შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდა. საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს აჭარაშიც და გურიაშიც. ადგილობრივ მოსახლეობას მაქსიმალურად ვრცელი ინფორმაცია მიეწოდება. პირველ ეტაპზე 336 ადამიანის მიღებაა დაგეგმილი. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სხვადასხვა ტელევიზიის მეშვეობით ვრცელდება სარეკლამო რგოლები.

### სტუდენტები

საპილოტე პროგრამაში, დაახლოებით 18-დან 22 წლის ჩათვლით, 100 სტუდენტის მიღება იგეგმება.

რატომ არის საინტერესო სტუდენტისთვის აღნიშნული პროგრამა?! პირველ რიგში, ახალგაზრდა კარგ სამხედრო განათლებას მიიღებს, მომზადების გრაფიკი მაქსიმალურადაა მორგებული მხარეების ინტერესებზე. წელიწადში 45 დღიანი სამხედრო შეკრების და 5 წლიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ პირი სამხედრო ბილეთს იღებს და შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლდება.

### ანაზღაურება

რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 5 წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ

და მათი შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20%, ხოლო სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში - შრომის ანაზღაურების სრულ ოდენობას წარმოადგენს. საერთო ჯამში, რიგითი რეზერვისტის საშუალო ანაზღაურება წლიურად ხელზე ასაღები 2760 ლარია. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამოძახების პერიოდში, რეზერვისტს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და შრომის ანაზღაურება, მიუხედავად დაწესებულების ორგანიზაციულ - სამმართვებრივი ფორმისა.

### ქალები რეზერვში

ქალებს, სურვილისა და შესაბამისი შესარჩევი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლიათ იმსახურონ აქტიურ, ანუ ნებაყოფლობით რეზერვში.

### რეგისტრაცია

საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, დილის 10-დან საღამოს 4 საათამდე ქ. ბათუმი, ადლის ქუჩა 76 ეროვნული გვარდიის მე-10 კადრი-რეზერვულ ბრიგადაში ქ. თელავი თამარ მეფის ქუჩა 36 ეროვნული გვარდიის მე-20 კადრი-რეზერვულ ბრიგადაში სპეციალისტთა რეზერვისათვის, თავდაცვის სამინისტრო, კვინიტაძის 20

საკონტაქტო ინფორმაცია:  
(+995 032) 2 75 26 44;  
მობ: 595 06 03 44;  
(+995 032) 291 04 21;



# თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა ორი წლისაა



WWW.MOD.GOV.GE



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

„თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა კიდევ ერთი პლატფორმაა საქართველოსთვის, რათა გააძლიეროს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა და საკუთარი წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცებაში“- ასე აფასებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორია, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIBS) როლსა და საქმიანობას დაარსებიდან ორი წლის შემდეგ.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა 2016 წლის 28 ივნისს პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა. სკოლა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც საქართველოში მოვლენილი ნატოს ექსპერტთა ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS) საქართველოს უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე რეფორმებს ოთხი ძირითადი მიმართულებით უჭერს მხარს.

**კარგი მმართველობის მხარდაჭერა-** სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მართვის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება კეთილსინდისიერების ამადლებას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, ასევე კორუფციული რისკების შემცირების ხელშეწყობას ენიჭება.

**თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა -** სკოლა უზრუნველყოფს ფორუმებს, რათა გაიმართოს დისკ-

უსიები და სამთავრობო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთიანი აღქმა ჩამოყალიბდეს.

**უწყებათაშორის თანამშრომლობა -** სკოლა ხელს უწყობს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა სამთავრობო უწყებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფორმაციის გაზიარების, კავშირების გამყარებასა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

**ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობა -** სახელმწიფო უსაფრთხოება ერთობლივი ეროვნული პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, სკოლა უზრუნველყოფს პლატფორმას დისკუსიებისთვის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, სადაც უსაფრთხოების ორგანიზაციების წარმომადგენლები (აკადემიური წრეები, ექსპერტები, მასწავლებლები, მედიის წარმომადგენლები) მონაწილეობენ.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის გრძელვადიანი გეგმის ნაწილია ნატო-ს აკრედიტაციის მიღება. აკრედიტაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის და ასევე ნატო-სთან თავსებადი სასწავლო ციკლის შემუშავების მიზნით, სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-ს სხვადასხვა პროგრამასთან, ნატო-ს სკოლებთან და მხავს სასწავლო დაწესებულებებთან. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ორი წლის იუბილეზე აღნიშნა, სკოლის არსებობას არა მხოლოდ თავდაცვის უწყებისთვის, არამედ, მთლიანად უსაფრთხოების

სექტორისა და საქართველოს ტრანსფორმაციის პროცესისთვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვს.

„თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის სახელწოდებაც მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება, ინსტიტუციური აღმშენებლობა, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. სკოლის არსებობას არა მხოლოდ თავდაცვის უწყებისთვის, არამედ, მთლიანად უსაფრთხოების სექტორისა და ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესისთვის ცენტრალური მნიშვნელობა აქვს. DIB სკოლა აქცენტებს უწყებათაშორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე აკეთებს და ამით ტრადიციული თავდაცვის კონცეფციის იმპლემენტაციას უწყობს ხელს. სკოლის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური დიალოგი მიმდინარეობს თავდაცვისა და უს-

აფრთხოების სექტორის აქტუალურ საკითხებზე, საფუძველი ჩაეყარა აღნიშნული პროცესის ინსტიტუციონალიზაციას. სკოლის განვითარებაში აქტიურად არის ჩართული ნატო და მისი წევრი ქვეყნები, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას ვუხდით. მომავალ წლებში მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს, რათა DIB სკოლის წარმატებებით რეგიონში სამაგალითო გავხდეთ. ვგეგმავთ რეგიონული კონფერენციის ორგანიზებას და აქტიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მივიღოთ ნატოს აკრედიტაცია DIB სკოლისთვის“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებებზე ყურადღება საიუბილეო ღონისძიებაზე მოწვეულმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც გაამახვილეს და სკოლას მხარდაჭერა კიდევ ერთხელ აღუთქვეს.



WWW.MOD.GOV.GE



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ძირითადი ჯგუფის ლიდერის, საზღვაო ძალების პირველი რანგის კაპიტნის, შტეფან ანიქოფერის, განცხადებით, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა წარმატებით ასორციელებს დასახულ მიზანს - ხელი შეუწყოს თავდაცვის ინსტიტუტების რეფორმისა და რესტრუქტურისაციის ძალისხმევას, რათა საქართველომ შეძლოს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულება: **„ეს არის თავდაუზოგავი შრომისა და წარმატების ორი წელი. შეგიძლიათ იამაყოთ მიღწეული წარმატებებით. თქვენ კმნით ახალ არქიტექტურას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისთვის. სკოლის გუნდს ვუსურვებ ზურგის ქარსა და მშვიდ ზღვას“**, - აღნიშნა კაპიტანმა შტეფან ანიქოფერმა მისალაც სიტყვაში.

DIBS-ის დირექტორს მიაჩნია, რომ არსებობის ორი წლის მანძილზე სკოლა წარმატებით ართმევს თავს ძირითად ფუნქციას, რაც როგორც სკოლის მსმენელების, ასევე ადგილობრივი და ნატო-ს ხელმძღვანელობის მხრიდან არაერთხელ აღინიშნა:

„თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების პროგრამები ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმებს, რაც აძლიერებს ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის ამზადებს. სკოლის ღონისძიებები მთლიანად მორგებულია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში იდენტიფიცირებულ ინსტიტუციურ და პროფესიული განვითარების მოთხოვნებს. შესაბამისად, სკოლის აქტივობები დადებითად აისახება სექტორში მიმდინარე რეფორმებზე და უზრუნველყოფს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმის ამაღლებას, ფორუმს დისკუსიებისთვის და ინფორმაციის გაცვლისთვის, სხვადასხვა სამთავრობო უწყებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და კავშირების გამყარებას. ანგარიშგადასახდელია, გამჭვირვალობა და დემოკრატიის მხარდაჭერა თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი

ამოცანებია, სწორედ ამიტომ, სკოლა უზრუნველყოფს პლატფორმას დისკუსიებისთვის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

სკოლა აქტიურადაა ჩართული სამინისტროს მიერ ინიცირებული ახალი პროექტების განხორციელებაში. თავისი ძირითადი ფუნქციითა და კონცეფციით, DIBS მხარს უჭერს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განხორციელებას, - ამბობს თეანიკოლაშვილი.

დაარსებიდან დღემდე სკოლამ 2360 მონაწილისთვის 102 სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა; მათგან 1330 მონაწილე თავდაცვის უწყების წარმომადგენელია. 2017-2018 წლებში DIBS-მა მაღალი რანგის უცხოელ სტუმრებს უმასპინძლა. სკოლას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწე, გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სლოვაკეთის თავდაცვის მინისტრი ეწვივნენ.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მხარდი საერთაშორისო მხარდაჭერა აშკარაა. მისი პარტნიორები არიან ნატოს DCB, PDP, BI პროგრამები და ნდობის ფონდები. ასევე, წარმატებით ასორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტს პარტნიორ ქვეყნებთან, გერმანიასთან, სლოვაკეთთან, ნიდერლანდების სამეფოსთან, იტალიასთან, ესტონეთთან, რუმინეთთან, ნორვეგიის სამეფოსთან, თურქეთთან, ლუქსემბურგთან, მონტენეგროსთან, დიდ ბრიტანეთთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან. სკოლა თანამშრომლობს ავსტრიის, ფინეთის, გერმანიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ნატოს დახვედრების ცენტრებთან.

DIBS უფრო და უფრო ზრდის ტრენერთა რესურსს და ამ მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს ნიდერლანდების სამეფოს საერთაშორისო ურთიერთობების კლინგენდაელის ინსტიტუტთან. მიმდინარე წელს, უკვე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი პაგაში. ნაყოფიერი იყო იტალიის პოსტკონფლიქტური სიტუაციების სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობა, სადაც რამდენიმე ქართველი ტრენერი გადამზადდა.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ახლო მომავალში თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა რეგიონული კურსების მიმართულების განვითარებას (შავი ზღვის რეგიონის ფართო კონტექსტში) გეგმავს. კურსებზე დასწრების შესაძლებლობა საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებს ექნებათ: „სკოლა ორიენტირებული იქნება არსებული თანამშრომლობის სივრცეების განვითარებასა და ახალი ურთიერთობის ინიცირებაზე. დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მომავალში იგეგმება რეგიონული კურსების წარდგენა ნატოს სერტიფიცირების მისაღებად“, - აღნიშნავს თეანიკოლაშვილი.

2018-2019 წლებში სკოლა დისტანციური სწავლების შესაძლებლობების განვითარებასაც აგრძელებს. DIB სკოლის ორგანიზებით, ნორვეგიის სამეფოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის ჯეფერსონის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, 2017 წელს დისტანციური სწავლების პირველი ეროვნული კონფერენცია ჩატარდა. დისტანციური სწავლების მეორე ეროვნული კონფერენციის ორგანიზება მიმდინარე წელსაც იგეგმება. დაგეგმილია სკოლის ციფრული სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაც. DIBS-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გუნდის პროფესიონალიზმითა და მოტივაციით, თავდაცვის სამინისტროს მტკიცე და ურყევი მხარდაჭერით, ნატოს მხრიდან გაწეული ადამიანური თუ ფინანსური დახმარებით, სკოლის სტრატეგიით განსაზღვრული მიზანი განხორციელდება და ნატოს მიერ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ინსტიტუციური აკრედიტაცია მოხდება: „სკოლა აქტიურად მუშაობს ნატოსთან თავსებადი სასწავლო ციკლის დანერგვის მიმართულებით, რომლის შემდგომი ეტაპია სკოლის მიერ შემუშავებული კურსების ნატოს მიერ სერტიფიცირება. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ნატოს ხარისხის მართვის სტანდარტებით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და პროცედურების შემუშავებაზე, რაც აუცილებელი წინაპირობაა სკოლის მიერ ინსტიტუციური აკრედიტაციის მისაღებად“, - აცხადებს სკოლის დირექტორი.

**ცალკეული შეფასებები საქართველოს პარტნიორებისგან ნატოს ბენეფიციური მიზნები, იმის სტრატეგიის მიხედვით**

SNGP პაკეტმა 2017 წელს მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. მაგალითისთვის, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლამ, რომელიც არსებითი პაკეტის ფარგლებშია დაარსებული, განახორციელა 73 ღონისძიება და გადაამზადა 1683 მონაწილე საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორიდან. სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობის ამადლებაზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით ცნობიერების ამადლებაზე, უწყებათაშორის თანამშრომლობასა და რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

**იოს დოუმა - ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში**

ჩემთვის თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა საქართველოს საჯარო სამსახურის მარგალიტია. ყოველთვის სასიამოვნოა და სასიხარულოა სკოლის ტრენინგებსა და შეხვედრებზე დასწრება. ამბიცია, გახდეს დახვედრების ცენტრი არა მხოლოდ საქართველოს ფართო საჯარო სივრცისთვის, არამედ, პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სექტორებისთვისაც. უდავოდ მიღწევაა. მოხარული ვიქნები სკოლასთან თანამშრომლობის გაგრძელებით.

**რაფაელ პანტუჩი, დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტის საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი**

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა შედარებით ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მას აქვს სერიოზული მიზანი - ჩამოყალიბდეს, როგორც თავდაცვის სამაგალითო ინსტიტუტი საქართველოში. თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი ძალზედ მოხარულია, რომ ამ პროცესში სკოლის მხარდაჭერის შესაძლებლობა აქვს. მოუთმენლად ველით მომავალში თანამშრომლობის გაგრძელებას.

**დოქტორი ჰაიკე ფაიჩი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი**

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებისას, გერმანია ლიდერი ქვეყანაა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროექტში და ამიტომაც, განსაკუთრებით დიდი ყურადღებით ეკიდება მის მუშაობას. სკოლა განვითარდა და წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცეს ფართო უსაფრთხოების სექტორისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის განვითარებისთვის. სკოლის სულ უფო მხარდი საერთაშორისო კავშირები წარმოადგენს მომავალში სკოლის განვითარების კარგ საფუძველს.





# პროპაგანდისტული ნარაზივი ნეიბრალიზაჲ და რეალობა

ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანების ინფორმირებულობის, პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისა და მობილიზაციის საშუალებები. შესაბამისად, ძალაუფლების მოპოვებისათვის საზოგადოებრივმა აზრმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. არადემოკრატიული რეჟიმებიც კი მაქსიმალურად ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის დაუფლებას, რადგან მხოლოდ ძალისმიერი ინსტრუმენტებით ხელისუფლების შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი ხდება.

თანამედროვე ეპოქაში მოწინააღმდეგეზე გავლენის მოპოვების მექანიზმი -სამხედრო ინსტრუმენტები, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეგავლენა ჩანაცვალა.

შესაბამისად, სასურველი საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფოები რესურსებს არ იშურებენ, რადგან სწორედ მასზე დამოკიდებული მათი ამოცანების წარმატებით შესრულება. სასურველი საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის კი, მნიშვნელოვანია ისეთი მითების შექმნა, რაც მოსახლეობას თავისივე სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესების საწინააღმდეგოდ განაწევებს და პარტნიორებს დაკარგვინებს.

შესაბამისად, ნატოსა და ევროკავშირის საწინააღმდეგო მითების დამკვიდრებითა და ქართული საზოგადოების დეზინფორმირებით, მოწინააღმდეგე ცდილობს, საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს დაუპირისპირდეს, რადგან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებით ქვეყანა მიღწევს უფრო მეტ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ერთ-ერთი ასეთი მცდელობა გავრცელებული შეხედულებაა, რომ „საქართველო ისჯება ნატოსკენ მიწრაფვის გამო, ხოლო ნეიტრალიტეტის შემთხვევაში, პრობლემები არ იარსებებს.“ აღნიშნული მტკიცება მიზნად ისახავს, რუსეთიდან მომდინარე ყველა პრობლემა საქართველოს ნატოში სწრაფვას დაუკავშიროს და პრობლემათა გადაწყვეტის გზად, საქართველოს ნატოსგან დისტანცირება გამოაცხადოს. ეს მითი გულისხმობს ისეთ დებულებებს, როგორცაა „ტერიტორიული მთლიანობა ნატოსკენ სწრაფვამ დაგვაკარგვინა“, „რუსეთი იძულებული გახდა საქართველოს ნატოში სწრაფვის გამო ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო პოლიტიკა ეწარმოებინა“ და ა.შ. ამ მოსაზრების ავტორები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღებს ნატოსთან ურთიერთობის შეწყვეტასა და ნეიტრალიტეტის გამოცხადებაში ხედავენ.

უნდა ითქვას, რომ ეს დებულებები, მხოლოდ პროპაგანდისტული მითებია, რომელიც მოწინააღმდეგის პოლიტიკის გატარებას ემსახურება და ლოგიკური საფუძველი არ გააჩნია. ამაში ნათლად დაგვრწმუნდებით თუ აღნიშნულ დებულებებს გავაანალიზებთ და საფუძვლიანად შევისწავლით. უპირველესად, მნიშვნელოვანია, დავაზუსტოთ, რას ნიშნავს საქართველოს ნატოში გაწევრიანება და რა

ტომ უნდა შეექმნას რუსეთს ამით პრობლემები?

ნატო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო ბლოკია, რომელშიც გაწევრიანების შემდეგ, საქართველო კოლექტიური უსაფრთხოების ნაწილი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოზე თავდასხმა განიხილება როგორც, ალიანსზე თავდასხმა. შესაბამისად, საქართველოს უსაფრთხოების დაცვა საქართველოსთან ერთად, ალიანსის ყველა წევრი ქვეყნის ამოცანა გახდება.

შესაძლოა თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანებამ რუსეთს რაიმე საფრთხეს შეუქმნას?

ლოგიკური არგუმენტების გარდა, ისტორიასაც რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ ნატოში გაწევრიანებულ არც ერთ სახელმწიფოს ალიანსში გაწევრიანების შემდეგ რუსეთთან სამხედრო კონფლიქტი აღარ ჰქონია, თუმცა გაწევრიანებამდე ხშირი იყო კონფლიქტების მაგალითები. ნატოს არც ერთი წევრი სახელმწიფოდან რუსეთს საფრთხე არ დამუქრებია, ბევრად შეზღუდულია რუსეთის მოქმედების საშუალებები ნატოს წევრი სახელმწიფოების მიმართ, რადგან ნატოს წევრობაც კი ღია აგრესიის განზრახვის სისრულეში მოყვანას უტოპიურს ხდის. რაც შეეხება ნატოს არაწევრ ქვეყნებს, რუსეთს მის ბევრ მეზობელ ქვეყანასთან კონფლიქტური ურთიერთობა აქვს, ხშირად აქტიურად ერევა მათ შიდა საქმეებში და ლახავს მათ სუვერენიტეტს. თუ ნატოს არც ერთი წევრი სახელმწიფოდან რუსეთს საფრთხე არ დამუქრებია, რატომ დაემუქრება საქართველოს ნატოში გაწევრიანებით?

ცხადია, მტრული პროპაგანდის მტკიცებას ლოგიკური საფუძველი არ გააჩნია. მაშინ ისმის კითხვა: რატომ არ სურს რუსეთს საქართველოს ნატოში გაწევრიანება?

რუსეთის მიზანი საკუთარი გავლენის

გავართობა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე სრული კონტროლია. სრული კონტროლი კი ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტის შელახვას ნიშნავს. შესაბამისად, ის ყველა ბერკეტს იყენებს, მათ შორის, მის მიერ შექმნილ კონფლიქტებს, რათა ამ სახელმწიფოებზე ზეწოლა მოახდინოს. რუსეთის იმპერია და მის შემდეგ საბჭოთა კავშირი, იმ პირობებში, როცა არ არსებობდა ნატო, აქტიურად ახორციელებდა საქართველოს ოკუპაციას. თავი რომ დავანებოთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების პროცესს, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირმა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინა, ნატო არ არსებობდა და ბუნებრივია, ვერც ნატოსკენ გაცხადებული სწრაფვა იარსებებდა, მაგრამ ამას საბჭოთა კავშირის მოქმედებისთვის ხელი არ შეუშლია. ეს პოლიტიკა არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეცვლილა.

1994 წელს მოლდოვის რესპუბლიკამ კონსტიტუციაში დააფიქსირა საკუთარი ნეიტრალიტეტი, თუმცა არც ეს ფაქტი გამხდარა რუსეთისათვის იმის საფუძველი, რომ მოლდოვისათვის ტერიტორიები დაებრუნებინა. ცხადია, არსებობს ევროპული სახელმწიფოების წარმატებული ნეიტრალიტეტის მაგალითები, თუმცა მათი წარმატება შესაბამის გეოპოლიტიკურ გარემოს უფრო უკავშირდებოდა, რაც საქართველოს შემთხვევაში, სრულიად განსხვავებულია. ნეიტრალიტეტი ქვეყანა შეუძლებელია იყოს ისეთი სახელმწიფო, რომლის მიმართაც მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან დიდი პოლიტიკური ინტერესი არსებობს, რადგან შეუძლებელია ნეიტრალიტეტი განხორციელდეს, თუ ყველა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშე სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ნეიტრალიტეტის გამოცხადებასთან დაკავშირებით არ დაეთანხმება.

რუსეთის პოლიტიკური მიზნები საქართველოს მიმართ მეტი კონტრო-

ლის მოპოვებაა და ნატოსგან საქართველოს დისტანცირებაც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახუროს. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანების სწრაფვის გამო განიცდის აგრესიას უნდა ითარგმნოს, რომ საქართველო სუვერენიტეტის დაცვის გამო განიცდის აგრესიას. რაც უფრო ახლოს იქნება საქართველო ნატოსთან, მით ნაკლებია აგრესიის ალბათობა და რაც უფრო დაშორდება, მით უფრო დიდია შანსი მოწინააღმდეგემ შექმნილი ვითარება გამოიყენოს. აქედან გამომდინარე, ნეიტრალიტეტის იდეა რეალურად საქართველოს მოკავშირეების დაკარგვისა და მარტო დეტოვების იდეად უფრო ითარგმნება, ვიდრე საქართველოსათვის რაიმე სიკეთის მომტანად.

ნატოსთან თანამშრომლობის გადრმავება საქართველოს უფრო დაცულ ქვეყნად აქცევს. უფრო მეტი ნატოს ჯარისკაცი ერთობლივ წვრთნებში, უფრო დიდი დახმარება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მხრიდან ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმის ასამაღლებლად და ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და საბოლოო ჯამში, ნატოს უფრო მეტი ხილვადობა საქართველოში, პირდაპირ კავშირში ქვეყნის მეტ უსაფრთხოებასთან. გაწევრიანების პროცესი უფრო მეტად გვაშაადებს ალიანსში ინტეგრაციისათვის, იწვევს ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და უფრო მეტად უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას.

მტრული პროპაგანდის განზრახვა, ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედებით შეაფერხონ საქართველოს ნატოსთან დაახლოების პროცესი, რეალურად ემსახურება მათ მიზნებს. მითების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზაა, მეტი ვიცოდეთ მათ შესახებ. მტრული პროპაგანდისტული ნარატივებისა და მითების მეტი ცოდნა ნიშნავს, არ გავხდეთ იარაღი მტრის ხელში!





# ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა

ჯაბა ჯაბანიშვილი ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერია. ამჟამად, იგი აკადემიის მეოთხე კურსზე ირიცხება და სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას ლიეტუვას სამხედრო აკადემიაში გადის. ჯაბა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის შესახებ საქართველოსა და ლიეტუვას რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საბაკალავრო თეზისს წერს. „ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ნებისმიერ დამამთავრებელ კურსზე მყოფი ქართველი სტუდენტისთვის - სტაჟირება გაიარო უცხოეთში და შეაგროვო შენი სამეცნიერო ნაშრომისთვის სასარგებლო მასალები - აღნიშნავს იგი ჩვენთან ინტერვიუში.

ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოურ სამხედრო აკადემიებთან და უნივერსიტეტებთან. აღნიშნული თანამშრომლობა იგეგმება და ხორციელდება საქართველოსა და უცხოეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლის განახლებაც ყოველწლიურად მიმდინარეობს. აკადემიას, ამჟამად, გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმი ისეთ წამყვან უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებთან, როგორებიცაა ბალტიის თავდაცვის კოლეჯი, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის აკადემია, ლიეტუვას, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო სასწავლებლები. აკადემიის იუნკერებს (მათ შორის აკადემიაში ჩარიცხულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს) აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მოკლევადიან სტუდენტურ გაცვლით პროგრამაში, სტაჟირებაში, სავსელ სწავლებასა და სპორტულ ღონისძიებაში, რომელსაც მასპინძლობენ აკადემიის პარტნიორი უცხოური სამხედრო სასწავლებლები.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პრიორიტეტი მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალის მომზადებაა. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს საზღვარგარეთის სამხედრო-სამოქალაქო სასწავლო ინსტიტუტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამეცნიერო-კვლევით წრეებთან ურთიერთთანამშრომლობა წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აკადემიის დაარსების დღიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო განათლების სისტემის დანერგვას, სასწავლო პროგრამების მუდმივ განახლებასა და მოდერნიზებას, რაც ეროვნულ თავდაცვის აკადემიას საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტად აახლოებს.

გაცვლითი პროგრამები აკადემიის იუნკერებისთვის საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს, რომლის ფარ-



გლებშიც, უცხოურ მრავალეთნიკურ სასწავლო გარემოში ისინი ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მუშაობის სპეციფიკას, საკუთარი კოლეგებისგან იღებენ გამოცდილებას და რაც მთავარია, არსებული გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს მათი ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოკლევადიანი გაცვლითი პროექტების გარდა, აკადემიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული იუნკერები და საკანდიდატო კურსის მსმენელები ამჟამად სწავლობენ ამერიკის საზღვაო აკადემიის, სამხედრო აკადემიის, საჰაერო ძალების და სანაპირო დაცვის აკადემიებში, ასევე კანადის სამეფო აკადემიის, საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო აკადემიის, თურქეთის სახმელეთო ძალების სასწავლებლის და ბუნდესვერის სამხედრო უნივერსიტეტის სრულ სასწავლო პროგრამებზე. 2016 წლიდან, იუნკერი მარიამ ამბოკაძე სწავლას კანადის სამეფო აკადემიაში აგრძელებს. ის ჩარიცხულია სამხედრო ხელოვნებისა და მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე

და აქვს სურვილი, გახდეს არტილერიის ოფიცერი. იუნკერი აბოკაძის აზრით, კანადაში მისი რთული და თავგადასავლებითი საფეხ სამხედრო ცხოვრება მას დაეხმარება, ჩამოყალიბდეს წარმატებულ ოფიცრად და სამომავლოდ გააგრძელოს სამსახური საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მჭიდრო თანამშრომლობას ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (Defence Education Enhancement Program, DEEP). ნატო-ს პროგრამა ეროვნულ თავდაცვის აკადემიას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების/კურიკულუმების განვითარებაში, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებაში, სტუდენტთა შეფასებასა და მეთოდოლოგიის დახვეწაში უწყვეტ მხარდაჭერას. აკადემია ასევე, ნატო-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროსთან (Bureau of International Language Coordination - BILC) თანამშრომლობს, რომელიც მეთვალყურეობას უწყვეტ აკადემიაში ინგლისური

ენის სწავლებას, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვასა და შეფასების პროცესს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა მხოლოდ იუნკერების გაცვლითი პროგრამებით არ შემოიფარგლება, საზგასსმელია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ აკადემია ზრუნავს, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სამხედრო ინსტრუქტორების ჩართულობაზე საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. სწორედ მსგავსი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, წელს პირველად ბალტიის თავდაცვის კოლეჯში ჩატარდა აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მეთაურის ლექცია თემაზე „ჰიბრიდული ომი“, რომელიც ბალტიის თავდაცვის კოლეჯის სამეთაურო-საშტაბო კურსის, ნატო-ს მიერ აკრედიტირებულ კრიზისების მართვის ოპერაციების მოდულის ფარგლებში განხორციელდა.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, აკადემია ჩართულია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინიციატივაში - „ერასმუს +“ პროგრამის ფარგლებში, საბერძნეთის შეიარაღებული ძალების აკადემიასთან ერთად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ხორციელდება. აღნიშნული პროექტი 2 წლიანია. 2018-2019 წლებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, აკადემიის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობაც იგეგმება.

ეროვნული თავდაცვის აკადემია დაგროვებული ცოდნის, მიღწეული პროგრესისა და უცხოელი პარტნიორების მხრიდან გაზიარებული გამოცდილებით ცდილობს, უპასუხოს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და რეგიონის მასშტაბით თავის ღირსეულად წარმოჩენა შეძლოს.





# რიგითი ალბერტ საფარიანი: თავდაცვის უწყებაში საქართველოს მოქალაქეების ერთიანობა მთავარია



მათ შორის არის 23 წლის რიგითი ალბერტ საფარიანი საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებულ ბრიგადაში საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გადის.

სამხედრო ფორმა ჯარისკაცმა პირველად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოირგო. ალბერტმა სამხედრო სავალდებულო სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიარა.

ალბერტის ოჯახი თბილისში ცხოვრობს. ახალგაზრდა სამხედრო სფეროს მიმართ ინტერესის განმსაზღვრელ ფაქტორად ასახელებს მამას, რომელიც ყოფილი სამხედროა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, თითქმის ორი წლის განმავლობაში, მან ხან ხელობაზე, ხან - დაცვის პერსონალად მუშაობა სცადა, თუმცა სამხედრო ფორმაზე ოცნებას ვერ შეეღწია. „მეამაყება საქართველოს ჯარისკაცი რომ მქვია. მომწონს ჯარისკაცული ცხოვრება, დისციპლინა, სამხედროებთან ურთიერთობა, აქაურ დღის წესრიგსაც შევეგუე. ვფიქრობ, შეიარაღებულ ძალებში დიდხანს ვიმსახურებ და კარიერულადც განვითარდები. ამ სტრუქტურაში საქართველოს მოქალაქეების ერთიანობა მთავარია. საქართველოს მოქალაქე ვარ და სადაც ჩემს ქვეყანას დასჭირდება, იქ ვიდგები“, - გვეუბნება რიგითი საფარიანი.







# ბიოგრაფიკონიგრაფი – ჩვენი პოპონაგები



ბათუმი

ბათუმი 1918 წელს დაეცა, თუ არ ვცდებით, პირველ აპრილს. ჯერ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ჰქონდა ალყა შემორტყმული. ჩრდილოეთიდან, ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ზღვიდან ციხესიმაგრესთან მისადგომი თავისუფალი იყო. ადგილობრივი უფროსობა დაიჭინა, გარნიზონი გაეზარდოთ, თუმცა მისი რიცხვი უკვე 12.000 ხიშტს აღწევდა. ციხესიმაგრის დებულების მიხედვით, ეს რაოდენობა ამ ციხესიმაგრისთვის მეტისმეტი იყო. ადგილობრივი უფროსობა დაჟინებით მოითხოვდა გარნიზონის გაზრდას. მთავარსარდალი, გენერალი ლეხენდინსკი და სამხედრო კომისარი ე. გეგეჭკორი ამ დროს სამტრედიაში იყვნენ. მე გენერალ ლეხენდინსკისთან საუბრისას არ მოვიწონე გარნიზონის გაზრდა და მთავარსარდალს მოვახსენე. ციხესიმაგრის გადასარჩენად, შიგნით კი არ უნდა გაეზარდოთ ისედაც უზარმაზარი გარნიზონი, არამედ გარეთ, ჩაქვის რაიონში უნდა მოეუყაროთ თავი რეზერვს და ჩრდილოეთიდან შეეუტით თურქებს-მეთქი. გენერალი ლეხენდინსკი კი დამთანხმდა, მოახსენა ე. გეგეჭკორს და ისიც დაეთანხმა. გადაწყვედა, მომეტებული ხალხისგან (ეს ძირითადად მოხალისეთა რაზმები იყო), შეექმნათ ჯგუ-

ფი, გადაეყვანათ ჩაქვში და იქიდან დაერტყათ თურქებისთვის; სულ 3000 კაცის შეგროვების იმედი ჰქონდათ. ასეთი ვარაუდით შეუდგნენ ძალზე გულმოდგინე მოქმედებას. უცებ შეიტყვეს, რომ 600-მდე მოხალისე, ძველი ჯარისკაცები, რომლებმაც სამტრედიაში მოიყარეს თავი და რომლებსაც, ჩემი ვარაუდით, ჩაქვის მომავალი რაზმი უნდა შეედგინათ, ბათუმისკენ დაუძრავთ ციხესიმაგრის უფროსობის მოთხოვნით. მე ლეხენდინსკის ვეცი, მან მითხრა, ეგ საქმე ე. გეგეჭკორის ბრძანებითა და ბათუმის ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით შესრულდაო. ეშელონი უკვე წასული იყო და ჩემი ნათქვამი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ცოტა ხნის მერე ბაქანზე გავიარე და ვნახე ერთი ეშელონი ბათუმში გასამგზავრებლად ემზადებოდა და თან მთის ბატარეაც მიჰქონდა. ისევ ლეხენდინსკისთან გავვარდი (ის ჩემი ამხანაგია კადეტთა კორპუსიდან); იმანაც კვლავ გეგეჭკორთან გამგზავნა, რომელიც იქვე, ვაგონში იჯდა. მე ლეხენდინსკის ცხარე კამათი დავეუწყე, ვუმტკიცებდი, რომ ციხესიმაგრეს სრულიად არ სჭირდება ეს არტილერია, რადგან ის არმიის კუთვნილებაა საველე მოქმედებისთვის და არა ციხესიმაგრეში მოქმედებისთვის; რომ გარნიზონს უნდა ემსახურებოდეს ციხესიმაგრის არტილერია; რომ ეგეც არ

იყოს, ციხესიმაგრეში უკვე არის კაპიტან ცაგურის სამთო ბატარეა; რომ ჩვენი ჩაქვის ჯგუფი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ციხესიმაგრის თავდაცვის საქმე, სწორედ ამ მიდამოებში აუცილებელი სამთო ბატარეის გარეშე დარჩება; რომ ის, გენერალი ლეხენდინსკი, მთავარსარდალია და პასუხისმგებელი საერთო ხელმძღვანელობაზე; რომ თვითონ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ხელკეციტთა შეცდომების გამოსასწორებლად და ყოველივე ამის გამო არ გაატანოს ბათუმში სამთო ბატარეა. გეგეჭკორი ჩემს ამ მოხსენებას შეესწრო. ჩემი ცხარე მოხსენების შედეგი კეთილსასურველი აღმოჩნდა და ბატარეა სამტრედიაში დარჩა, რისი წყალობითაც ტყვეობას გადავარჩინეთ პირადი შემადგენლობა და ზარბაზნები მოწინააღმდეგეს არ ჩავეუგდეთ ხელში.

მუდამ ვამბობდი, ციხესიმაგრე უნდა გადარჩეს გარეთა მოქმედებით, რომ არ შეიძლება თურქებს დავანებოთ ბათუმის მთლიანად ალყაში მოქცევა და თუ მაინც ასე მოხდა, ჯარებში უღისციპლინობისა და, ამდენად, არაბრძოლისუნარიანობის გარნიზონი განწირულია ტყვედ ჩასაბარებლად, რადგან წინააღმდეგობას არ გასწევს. შემთხვევით ვისარგებლე და მოვახსენე ე. გეგეჭკორს, რომ მან, როგორც სამხედრო მინისტრმა, უპირველეს ყოვლისა საზოგადო ინტერესები უნდა დაიცვას და არ აჰყვეს ამა თუ იმ ცალკეული მეთაურის მოთხოვნებს; და რომ ამ შემთხვევაში ის სამხედრო მინისტრიდან ბათუმის კომენდანტად იქცა. ჩაქვის ჯგუფი ვერ შევაგროვეთ. შეპირებული ხალხი ჭიათურიდან, ტყიბულიდან საერთოდ არ მოვიდა, ან მოვიდა ძალზე ცოტა; ჩვენი ბელადები კი გამუდმებით გვიპირდებოდნენ, დღეს-ხვალ ასობით და ათასობით ჩამოვლენო.

ბათუმში მყისვე გადასცეს, სამტრედიაში, შტაბში, ბათუმის ხსნის გეგმა შეიმუშავესო. იქიდან მოვიდა პასუხი, რომ მათაც შეუშუშავებიათ ხსნის გეგმა და გვთხოვეს ნატანებში მოვიყაროთ თავი საერთო განხილვისთვისო. თავი მოვიყარეთ. ბათუმიდან ჩამოვიდნენ გენერალი მდივანი და რამიშვილი. მათ წარმოადგინეს გეგმა, რომლის არსი იყო სამხედრო ჯგუფის შექმნა და განლაგება ბარცხანასთან, საიდანაც ეს ჯგუფი თურქებს შეუტევდა. გამოდიოდა ფრონტალური შეტევა. მე წარმოავადგინე მთავარსარდალის შტაბის გეგმა, რომელსაც მთავარსარდალივე ამოწმებდა. ბათუმელები სწრაფადვე დაეთანხმნენ ამ გეგმას და გადაწყვიტეს სწრაფადვე შესდგომოდნენ მის განხორციელებას. ეს არ მოხერხდა, რადგან ჯარი დროულად ვერ შეიკრიბა (მოხალისეებისგან) და ბათუმი თურქების პირველი შემოტევისთანავე დაეცა. თურქებს ჰქონდათ 6 სამთო ზარბაზანი ჩვენი 70 ციხესიმაგრის ზარბაზნის წინააღმდეგ, ჯარისკაცთა რაოდენობა კი ჩვენსაზე გაცილებით ნაკლები იყო – სულ 3000 ხიშტი.

მახსენდება ერთი, თვისებრივად დამახასიათებელი ინციდენტი ბათუმური ეპოპეიდან. ჯერ კიდევ თურქების მოახლოვებამდე, ფორტების შემოვლისას, ჭოროხიდან სამხრეთით დავადექით ტრაპიზონის გზას. აქ, საპორტო ხაზს მიღმა, ჭოროხის მარცხენა ნაპირის ერთ-ერთ ბექობზე, მდებარეობის დასათვალისწინებლად შევჩერდით. რამიშვილი (უჩემოდ) მოახსენა ლეხენდინსკის თავისი მოსაზრება – აუცილებელია არტილერიის დადგმა, რათა შესაძლებლობა გვექონდეს, დავცხრილოთ აქედან 1-2 ვერსით დაშორებული მცირე ტაფობი სანაპიროსო. ლეხენდინსკიმ საკმაოდ გონივრულად მიუგო, ეს იმ ადგილობრივი მეთაურის საქმეა, ვინც აქაურობას ჩაიბარებსო. როგორც ჩანს, რამიშვილი არ ენდო და რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე წინადადებით მე მომმართა. ვუპასუხე, რომ სპეციალურად ამ ტაფობის დასაცხრილად არ ღირს არტილერიის დაყენება; რომ ამ მონაკვეთის არტილერიას ალბათ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები ექნება; რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს იმ მეთაურის საქმეა, ვინც აქაურობას განაგებს; და რომ ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ აქ ზარბაზნების დაყენება წამგებიანია, რადგან მეზობელი 500-600 ნაბიჯით დაშორებული ბექობიდან სულ უფრო იოლად შეიძლება შექვემდებარება ამოხოცვა. რამიშვილი შემომედავა, ეს ბექობი უნდა გამაგრდესო. მიუგე, იმ ბექობზე თუ ავალოთ, რომლის გამაგრებასაც ვთავაზობთ, დავინახავთ, რომ მის თავზე კიდევ სხვა ბექობი იქნება გასამაგრებელი და ასე ტრაპიზონამდე მივაღწეოთ-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩვენი ბელადები სამხედრო საქმეში ერეოდნენ ბრძოლის ველზეც კი, ქვემეხების ადგილის არჩევაშიც კი, რაც ჩვენი წესების მიხედვით, ბატარეის მეთაურის კომპეტენციაა.

\*\*\*

აღწერილი მოვლენების თანადროულად ამიერკავკასიის კომისარიატს ტრაპიზონში მოლაპარაკება გაემართა თურქეთთან. თურქები რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას მოითხოვდნენ. ამ მოლაპარაკების მსვლელობისას თურქები აგრძელებდნენ საომარ მოქმედებებს. დელეგაციაში მთავარსარდალის წამომადგენლის სახით მონაწილეობდა შტაბის უფროსი, გენერალი ლევანდოვსკი. მოლაპარაკებებმა უშედეგოდ ჩაიარა. დელეგაცია დაბრუნდა. მერე, თუ მეხსიერება არ მღაღატობს, 10 თუ 11 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა; იგი, არსებითად, საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა თურქეთთან, რომელიც განაგრძობდა ჯარების წინსვლას. შეიქმნა სეიმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები. მიდიოდა მოლაპარაკება გერმანიასთან, რომელთანაც თურქეთის აგრესიული სწრაფვისგან მფარველობას ეძებდნენ. ამასობაში, იძულებული ვიყავით გახდნენ დაეტოვებინათ ციხესიმაგრე ყარსი,

რაშიც სომხეთის წარმომადგენლობა და მთავრობა აღანაშაულებდა გენერალ ოდიშელიძეს – სამხედრო კომისრის გეგმეკორის მაშინდელ თანამშემწეს. ყარსი ისევე დაეცა, როგორც ბათუმი, რადგან იქ ისეთივე ვითარება შეიქმნა, როგორც ბათუმში იყო.

მერე, აპრილის ბოლოს, შეიქმნა კაბინეტი ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. სამხედრო მინისტრის პორტრეული გადაეცა გ. გიორგაძეს, რომელმაც სამხედრო მინისტრის თანამშემწის თანამდებობაზე მიმინიჭა.

ახლა ერთგვარად შევაჯამებ ნათქვამს. ადრე ზოგადად მიუთითებ იმ სამუშაოზე, რომელიც წილად ხვდათ ჩვენი ხალხის ბელადებს; მიუთითებ, რას მიადწიეს, თუმცა დაწვრილებით არ შევჩერებულვარ მათ მოღვაწეობაზე საგარეო პოლიტიკის, სამხედრო, საფინანსო, ეკონომიკურ, საშინაო და სხვა დარგებში. ისტორია აღნუსხავს და აღნიშნავს, რისი მიღწევა შეეძლოთ და რას მიადწიეს, რა შეცდომები დაუშვეს და რა დამსახურება მიუძღვით სახელმწიფოებრივი ცხოვრების სფეროებში – ზოგადად და ცალ-ცალკე. მე მოგახსენებთ მათ მოღვაწეობაზე, როგორც შეიარაღებულ ძალთა მოწეობაში, ისე საერთოდ სამხედრო საქმეში. ამ მხრივ გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები. ოფიცერთა კორპუსთან დამოკიდებულება: ოფიცრებს საერთოდ არ ენდობოდნენ. რატომ? ამის მიზეზზე შეტყვევებებს ქართველ მეომართა კავშირის დაშლის მოთხოვნა. ეს კავშირი უპარტიო იყო. ამასობაში, მუშათა და პროფესიულ კავშირებს, კოლპერატივებს ახალისებდნენ. ოფიცერთა უცვებ დაკარგა მათ თვალში მნიშვნელობა; იგი უფლებო აღმოჩნდა და, სამშობლოსთვის თავგანწირვის მაღალი მოწოდების მიუხედავად, მას ჩვეულებრივ მუშასაც კი არ უტოლებდნენ. მისი ავტორიტეტი ჯარისკაცთა თვალში განუწყვეტლივ ილახებოდა. ჩვენს თვალწინ უხე-

შად ტარდებოდა ჩხრეკა და დაპატიმრებები. საერთოდ, ოფიცერთა შემადგენლობისადმი უნდობლობა იწვევდა ნდობას პარტიულებისადმი იმ აღამიანებისა, ვისაც თავდებობდა ესა თუ ის სოციალისტური პარტია ან ორგანიზაცია. ამასთან სრულიად არავინ ავდებდა არაფრად დასანიშნი პირების – პოლკოვნიკ ახმეტელის, პოდპოლკოვნიკ კარგარეთელის, კაპიტან გედევანიშვილის, პოდპოლკოვნიკ ზაქარიასისა და სხვების თვისებებს, გამოცდილებასა და ცოდნას. ოფიცრებისადმი უნდობლობამ გამოიწვია სოციალისტური პროგრამის სულისკვეთების შესაფერისი შეცვლა. მერე, ერთი მხრივ, როგორც ჩანს შეგნებული კქონდათ, რომ ჯარი სამხედროება უნდა მოაწონ (ამას მოწმობს ოფიცერთა შეკრება, ჯარის ორგანიზაციის კომისია, კორპუსის ახალი მეთაურის, გენერალ გაბაშვილის დანიშვნა), მეორე მხრივ, სამხედროებს მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ. ოფიცერთა დაჟინებით გენერალი გაბაშვილი კორპუსის მეთაურად დანიშნეს და შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის პროექტი დაამტკიცეს, მაგრამ ამავე დროს, გაბაშვილს პოდპოლკოვნიკი ზაქარიასე შტაბის უფროსად დაუნიშნეს, ამით დაარღვიეს ახლად დამტკიცებული პროექტი, რომლის მიხედვით ამგვარი დანიშვნა ნებადართული იყო.

ასე რომ, ოფიცრობას, უმთავრესად, უმაღლეს სამეთაურო შემადგენლობას, ჯარების რეორგანიზაციის პროექტის დამტკიცების შემდეგაც კი არ ენდობოდნენ. უნდობათ ჯარებში კომიტეტები შემოეღოთ და დაეშვათ პოლიტიკური აგიტაცია, რაც, რასაკვირველია, უგუნურება იყო და, როგორც ჩანს, ვიწრო დოქტრინების გავლენით კეთდებოდა. ძალაუფლებით ისარგებლეს და მოსპეს ოფიცერთა შორის დოქტრინის ერთიანობა, მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობა. ამით გააღვივეს პირადი ინტერესები; ამან შეარყია

ოფიცერთა კორპუსის სულისკვეთება. დისციპლინა ირღვეოდა, თავი იჩინა ინტრიგებმა, დასმენებმა. საჭირო იყო პირიქით, ოფიცრების ორგანიზება უმაღლეს საოფიცრო შემადგენლობაში დოქტრინის ერთიანობის დაწერგვით და მათი ავტორიტეტის ამაღლებით. დოქტრინის ერთიანობის მისაღწევად უფროსი ოფიცრობისთვის უნდა გადაეცათ შეიარაღებულ ძალთა მოწეობის, მათი აღზრდის, სწავლების და სხვა საკითხების გადაწყვეტის უფლება. მთელი სამხედრო საქმის სათავეში უნდა დაესვათ სამხედრო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა სამხედრო საქმეზე. მმართველებს უეჭველად უარი უნდა ეთქვათ პროტექციონიზმზე, თანამდებობებზე “თავისი ხალხის” დანიშვნაზე, შემადგენლობის მეთაურის დანიშვნის საქმეში სამეთაურო შემადგენლობის ჩარევაზე და ა. შ.

უნდა აღვნიშნო, რომ ბელადებს არმიის შექმნის სურვილი არ ჰქონდათ. ერთსა და იმავე დროს ყალიბდებოდა სომხური და ჩვენი ნაწილები, და კიდევ რუსული კორპუსი. ქართული და რუსული კორპუსები, რომელთა მოწეობაში დამოუკიდებლად მოქმედებდნენ სოციალისტები, არ ჩამოყალიბდა; სომხური კორპუსი კი, სადაც ამ მოვლენას ადგილი არ ჰქონია, ჩამოყალიბდა. ბელადებს ეშინოდათ, რომ შეიქმნებოდა ძალა, რომელიც შეიძლება არ დამორჩილებოდა მათ სოციალისტურ მისწრაფებებს; მათ სურდათ ეს ძალა ემართათ, როგორც პირადი პოლიტიკური საყრდენი. ამის დასტურია მათი სურვილი, ჯარებში პარტიულობის დაშვებისა. როცა ცხოვრებაში ეს არ გამოვიდა, სხვა ხერხს მიმართეს და შექმნეს საკუთარი, პირადი ძალა – გვარდია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირმშო. რევოლუციურ ბელადებს უბირად სჯეროდათ, რომ შეიძლება შეიარაღებული ძალის შექმნა ჯარისკაცების და ოფიცრების თავმოყრით. ამის შედეგად, ომის დროს ჩამოყალიბდა მოხალისეთა

უამრავი ცალკეული რაზმი; მაგალითად, ბათუმის გარნიზონში შედიოდა სწორედ ამგვარად შექმნილი რაზმები. ასევე იყო სომხეთ-საქართველოს ომის დროს და ახალციხის მოვლენებისას.

ახლა გავიხსენებ ერთ შემთხვევას, რომელიც ახასიათებს მთავარსარდლის შტაბის უფროს ოფიცერთა სოლიდარობასა და თვით მთავარსარდლის, გენერალ ლებედინსკის პიროვნებას. ლებედინსკის ხშირად უხდებოდა უსიამოვნო შელაპარაკება სამხედრო კომისარ გეგეკორთან მიმდინარე საქმეების გამო. იყო შეხლა-შემოხლა მუშებისა და დეპუტატთა საბჭოსთან და სხვა რევოლუციურ უწყებებთან. ყველა საკითხზე გეგეკორისთვის უნდა მიგეპართათ, რადგან ის სამხედრო კომისარი იყო. ამბობენ, ერთი ასეთი ლაპარაკისას, გენერალი ლებედინსკი შეუძლოდ შეიქნა და ე. გეგეკორი წყლით ასულიერებდაო. შტაბი მხარს უჭერდა გენერალ ლებედინსკის, როგორც მთავარსარდალს, თუმცა ჩვენ ყველას – მე, პოლკოვნიკ ლევანდოსკის, პოლკოვნიკ ყორღანოვს, პოლკოვნიკ შატილოვს ყოველთვის არ მოგვწონდა ეს პიროვნება და ხშირად ვკიცხავდით კიდევ.

ერთხელ გეგეკორისაგან დაბრუნებულმა ლებედინსკიმ გამოგვიცხადა, უნდა გადავდგეო. ყველამ მხარი ავუბით და ჩვენც მოვითხოვეთ გადადგომა: გენერალმა ლებედინსკიმ თავის რაპორტში ითხოვა შემცველი მომიძებნეთო და უღტიმატუმიტ დანიშნა სამდლიანი ვადა. რა თქმა უნდა, პასუხი არ მიგვიღია. სამი დღე გავიდა. ყველანი ერთად ვთხოვდით გენერალ ლებედინსკის პასუხი დღესვე მოითხოვე-თქო – ეს მესამე დღე იყო. “ერთი სიტყვით, - ვუთხარი სიცილით – ხვალ მეოთხე დღეა და ჩვენ სამსახურში აღარ მოვდივართ”. “არა, - მომიგო ლებედინსკიმ – ჩვენ პოსტებს ვერ დაგვტოვებთ, სანამ არ შეგვეცვლიან”. “მაშინ რატომ და დანიშნეთ უღტიმატუმიტ ვადა” – შევნიშნე მე. საუბარი ასე ნახევრად სახუმარო ტონით გავრძელდა. მე და ლებედინსკი კადეტთა კორპუსიდან ვმეგობრობდით. შემდეგ მე ჩემს საქმეზე წავიდი. ცოტა ხნის მერე საქმეზე შევედი ლებედინსკის კაბინეტში და გენერალმა მითხრა: „ტელეფონით ველაპარაკე გეგეკორს, რომელიც მოითხოვს, რომ ყველანი ჩვენ-ჩვენ ადგილებზე დავრჩეთ დროებით, ვიდრე შემცვლელებს არ მოგვიძებნიან”. თანაც დასძინა, რომ „მიკვირს, თქვენისთანა დისციპლინირებულ ხალხს როგორ შეუძლია თანამდებობის მიტოვება, ვიდრე ვინმე არ შეენაცვლებათ”. “მე კი მივუგე – მიაბობს ლებედინსკი – პირიქით, შემცვლელთა მოსვლამდე არც ერთი ჩვენგანი არ მიატოვებს თანამდებობას; შტაბის ერთმა ოფიცრმა კი დაიჟინა, ხვალიდან სამსახურში აღარ მოვიდეთო, მაგრამ მე ეს აუუკრძალე. „ვინ არის ეს უდისციპლინო ოფიცერი?” – იკითხა გეგეკორმა. „ეს პოლკოვნიკი კვინიტაძე-მეთქი, ვუთხარი”. – დაასრულა ლებედინსკიმ. ერთი კი შევხედე და უხმოდ გამოვედი კაბინეტიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





# წარმართვის სარეაბილიტაციო ცენტრში ახალი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო



წეროვანში, მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე ახალი შენობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. დაჭრილი და დაზარალებული სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ამერიკული მხარის მხ-

არდაჭერით ხორციელდება. შენობის საფუძველში სიმბოლურად დროის კაფსულა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ და აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ელიზაბეთ რუდმა ჩადეს. სიტყვით გამოსვლისას, ლევან იზორიამ ყურადღება ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, დაჭრილი და დაზარალებული სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერაზე გაამახვილა

და ამერიკულ მხარეს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

სამხედრო მოსამსახურეებსა და სტუმრებს სიტყვით, ელიზაბეთ რუდმა და აშშ-ის არმიის ინჟინერთა კორპუსის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ჯონ ბეიკერმაც მიმართეს. მათ ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმი და ერთგულება ხაზგასმით აღნიშნეს და დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს პატივისცემა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს.

სამშენებლო კომპანია შპს LCONS-ის, აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსებით (Foreign Military Financing - FMF) და ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ინჟინერთა კორპუსის წარმომადგენლების უშუალო ხელმძღვანელობით აშენდება.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ, ექვს დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეს ახალი ელექტრო ეტლები გადასცა. ელექტრო ეტლები თავდაცვის სამინისტროს პროექტის „მატერები მშვიდობისთვის“ ფარგლებში შემოსული თანხით დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდმა შეიძინა.

ღონისძიებას გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაიბაია, თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები, შეიარაღებული ძალების, აშშ-ის საელჩოს, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის (ODC) წარმომადგენლები, უცხოელი მრჩეველები და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ.





## ქართული ჯარი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდება

საქართველოს თავდაცვის უწყების გაზეთი „ქართული ჯარი“ ივლისის თვიდან აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდება. აღნიშნული ინიციატივა ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მხარდაჭერას უკავშირდება.

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის არის ეთნიკური ნიშნით თანასწორობა. საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელსაც ტოლერანტობის უდიდესი ტრადიცია გააჩნია. ქვეყანას გააზრებული აქვს, რომ ტოლერანტობის გარეშე წარმოუდგენელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე, შეუძლებელია განვითარება.

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული უმცირესობების მიმართ ინტეგრაციულ პოლიტიკას ახორციელებს. აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მოქალაქეები თავდაც არიან ჩართულნი.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, მათ შორის, სამეთაურო რგოლში, საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც მსახურობენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და უსაფრთხოების საქმეში.

აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილი გაზეთი „ქართული ჯარი“ გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქე იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მსახურობენ და რომლებსაც აინტერესებთ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მოხვედრა. თავდაცვის სამინისტრო მიზნად თანასწორობის პრინციპებზე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ინტეგრაციას ისახავს, ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს. უწყება საზოგადოების ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების როლის გაზრდასა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნავს.



## თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ბაზა „კუნდუზზე“ IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეულის მონახულებით დაიწყო



თავდაცვის მინისტრმა ავღანეთში ვიზიტი ბაზა „კუნდუზზე“ IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეულის მონახულებით დაიწყო. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები „კუნდუზზე“ დისლოცირებულ ქართველ მშვიდობისმყოფელებს შეხვდნენ და ადგილზე არსებული მდგომარეობას პირადად გაეცნენ. IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეული, ბაზა „კუნდუზზე“ ორკვირიანი როტაციის პრინციპით ბაზის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ ავღანეთში, ბაზა „კუნდუზზე“ ქართული ოცეულის მონახულების შემდეგ, ბაზის მიმართულებით ორი არაპირდაპირი გასროლა განხორციელდა. ჭურვები ბაზის სიახლოვეს ჩამოვარდა. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა. ბაზა „კუნდუზზე“ დისლოცირებული IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეული მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას განაგრძობს.

იზორიამ სამხედროებს სიტყვით მიმართა, მათ მისიის წარმატებით დასრულება და საქართველოში მშვიდობიანი დაბრუნება უსურვა. მოგვიანებით კი, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ჩრდილოეთ სარდლობის მეთაურთან, ბრიგადის გენერალ ვოლფ-იურგენ შთალთან შეხვედრა გამართეს. საუბარი გერმანიასა და საქართველოს შორის ორმხრივ თანამშრომლობას შეეხო, საზი გაეცხა ქართველი და გერმანელი სამხედროების სამშვიდობო მისიაში ერთობლივ მსახურს. გერმანელმა გენერალმა ქართველი მშვიდობისმყოფელების პროფესიონალიზმი ხაზგასმით აღნიშნა და გერმანელ სამხედროების მხარდამხარ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობისთვის თავდაცვის მინისტრს მადლობა გადაუხადა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ხელმძღვანელს, გენერალ ჯონ ნიკოლსონსაც შეხვდნენ.

„მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში საქართველოს მიერ შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია გასაოცარია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოსთვის. ქართველი ჯარისკაცები ნამდვილად ძალიან ძლიერები არიან. დიდ პატივისცემას გამოვხატავ საქართველოს მიმართ მისიაში მონაწილეობისთვის“ - ამ სიტყვებით შეაფასა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მეთაურმა, გენერალმა ჯონ ნიკოლსონმა მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოებაში ქართული კონტინგენტის კონტრიბუცია საქართველოს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას. ამერიკელ გენერალთან საუბრისას ლევან იზორიამ აღნიშნა, რომ გენერალი ჯონ ნიკოლსონი საქართველოს დიდი მხარდამხარია. თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერას კვლავ აქტიურად გააგრძელებს.

შეხვედრას საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდალი, ბრიგადის გენერალი შავლეგო ტაბატაძე და შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი კობა ცირეკიძე დაესწრნენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ავღანეთში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან ერთად იმყოფება. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან ასევე, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდალი, ბრიგადის გენერალი შავლეგო ტაბატაძე და შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი კობა ცირეკიძე.

თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შტაბ-ბინის ბაზაზე II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის ნაკრებ ასეულთან შეხვედრით დასრულდა.

ლევან იზორიამ მშვიდობისმყოფელებს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო და მისიის წარმატებით შესრულებისთვის თითოეულ მათგანს მადლობა გადაუხადა. თავდაცვის მინისტრი გენერალ ჯონ ნიკოლსონთან ერთად სამშვიდობო მისიაში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეებისათვის გამართულ სპეციალურ ცერემონიაზეც იმყოფებოდა. მათ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე სხვადასხვა ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, საერთაშორისო მისიაში დაღუპულ ჯარისკაცებს პატივი მიაგეს.

